რედაქცია

მელიქიშვილის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით; სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება

**ნახევარი წლის ხელის-მოწერა**

## „დროებაზე“

**ამ წლის 1 ივლისიდამ ვიდრე მომავალი 1877 წლის 1 იანვრამდი**

ფასი ნახევარ წლისა— — — 4 მან. და 50 კაპ.
სამის თვისა— — — — 2 მან. და 50 კაპ.
ერთის თვისა — — — 1 მან. „ „ „

მთელი წლის ეგზემპლიარები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი კიდევ რედაქციაში და მსურველს ამ წლის გამოსული ნომრები ყველა ერთად გაეგზავნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“

**ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.**

# საქართველო

### ჩვენს მწიგნობრობაზედ

ამ უკანასკნელს დროში ჩვენში ერთობ ძრიელ გახშირდა წიგნების ბეჭდვა. ყველა, ვინც კი ცოტათ არის მაინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენს ლიტერატურას,—ყველა ცდილობს ან თვითონ დასწეროს და გამოსცეს და ან სხვის თხზულება გამოსცეს. ასე გაშინჯეთ, ვილაც მერაბ ყორღანოვმაც კი დაბეჭდინა თავისი ლექსები და საავათმყოფოს მღვდელმა მიხეილ ლაზარევმაც კი, რომელსაც ისე ლაპარაკში, დაგვენაძლევები, მკითხველო, თუ ორ სიტყვას ათქმევინებ ქართულად,—იმანაც კი გადმოთარგმნა რუსულიდამ ქართულათ ერთი წიგნი.

ამ რამდენიმე წლის წინათ, დიოგენივით რომ სანთლით გევლოთ და გეძებნათ, ორ-სამ ქართულ წიგნს ვერ იშოვიდი; ეხლა კი საითაც არ გაიხედავ, ყველგან ქართული წიგნები აწყვია გასასყიდათ. „ყარამანიანი,“ „დავრიშიანი,“ „ბეჟანიანი,“ „მირიანი,“ „ქალ-ვაჟიანი“ და სხვა „იანი“ და „ინიანი“—ვინ მოსთვლის.

— ახლაც იტყვიან ჩვენი სკეპტიკები, რომ ჩვენ ლიტერატურა არა გვაქვსო, ალტაცებით ვეუბნებოდი ამას წინათ ერთ ჩემს მეგობარს. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი სახტად დარჩომა, როდესაც მან ლაკონიურის პასუხით გამაჩუმა:

— მაგ წიგნების დაბეჭდვას დაუბეჭდაობა სჯობდა, ვნების მეტს ეგ წიგნები სარგებლობას არ მოუტანენ.

მე ეს მეგობრის სიტყვები მეჭამნიკა და ჭკუაშიაც დამიჯდა.

მართლაც, რა დასაბეჭდები იყვნენ მომეტებული ნაწილი ამ წიგნებისა, რომელნიც დაიბეჭდნენ? ამ წიგნების მომეტებულ ნაწილში რომ ერთად-ერთიც არის მაინც ცხოველი და კაცის ტვინის ამძვრელი აზრი მოიპოვებოდეს—კიდევ ჯანი გავარდეს; მაგრამ სულ ერთიან რომ თავით-ბოლომდის გადაფურცლო ეს წიგნები, სიცრუისა, უხეირო და უჯიშო ფანტაზიის მეტს ვერას იპოვით.

მაშ რის მაქნისნი არიან ეს წიგნები? არაფრისა. ეს წიგნები ვნების მეტს არაფერს სარგებლობას არ მოიტანენ. მაშ რათა ბეჭდავენ? იმისთვისაო, გეტყვიან ამათი გამომცემლები, რომ დაბალი ხალხი ამისთანა წიგნებს უფრო ყიდულობსო და მაშასადამე კითხვას ეჩვევაო. მორთვა ბავშვი ხშირად იმისთანა რამის შეჭმას მოინდომებს, რომელიც მის ავებულებას ავნებს; მაგრამ იმის გამო რომ ბავშვი ჭამას ასწავლის, განა დედ-მამამ უნდა მისცეს ყველა ნაირი საჭმლის ჭამის ნება? რასაკვირველია, რომ არა. მართალია, ბავშვი ჭამას ისწავლის, მაგრამ მის სისაღეს და აგებულებას კი ავნებს. ჩვენი ხალხიც დღეს სწორეთ ბავშვსა ჰგავს.

მართალია, იმისთანა წიგნები, როგორც „დავრიშიანი“, „ყარამანიანი“, „მირიანი“, „ქალ-ვაჟიანი“ და სხვა ხალხს კითხვას მიაჩვევს, მაგრამ ნაცვლად ამისა მის ტვინს კი სიცრუითა და სისულელით გასტენავს. შენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი უანბანო კაცი მირჩევნიან, სინამ ანბანის მცოდნე კაცი და ამ ნაირი წიგნების კითხვით გამოტვინებული. ამ შემთხვევაში პირველი კაცის სწავლება უფრო ადვილია, სინამ მეორის თავიდამ სიცრუვისა და ცრუ-მორწმუნეობის გამოყრევინება.

მაგრამ თავის გასამართლებლად ზოგიერთა გამომცემლები ამბობენ, რომ ჭკვიანურად დაწერილ წიგნებს ხალხი არ იყიდისო. ეს ყოვლად უსაფუძვლო თავის გასამართლებელი აზრია. რასაკვირველია, არ იყიდის, თუ რომ ჭკვიანურად დაწერილი წიგნის გვერდით ეწყობიან „ყარამანიანები“, „დავრიშიანები“, „მირიანები“ და სხვები. უკანასკნელებს იყიდიან იმისთვის, რომ იმათი ქება პაპა-ბებიასაგან აქვს გაგონილი, ჭკვიანურად დაწერილი წიგნის ქება კი არც პაპა-ბებიასაგან აქვს გაგონილი და არც არავის სხვისაგან; მაშასადამე არც იყიდის.

ფილოსოფიური ტრაქტატები რომ დაიბეჭდოს, რასაკვირველია, არც იმას იყიდის ხალხი, რადგანაც იმას, რომლის მთელი სიცოცხლე შრომაში და ლუკმა-პურის ძებნაში გადის, არა სცალიან სათილოსოფოსოთ. დაუწერეთ გასაგონის ენით ხალხს ისეთი წიგნები, რომელშიაც იყვნენ აღწერილნი მიზეზები იმის სილარიბისა და სილატაკისა, საშუალებანი ამ სილარიბიდამ გამოსვლისა; რომელნიც ასწავლიდნენ მას სჯასა და აზროვნობას, აფიქრებდნენ თავის ეხლანდელს მდგომარეობაზედ და მაშინ ენახავთ—იყიდიან ამისთანა წიგნებს თუ არა.

პახეთიდამ ერთი ჩემი მეგობარი

# ფელტონი

### „ერთი მეორე, აქეთ-იქით“

ამ ოთხი წლის წინათ ხშირად ვწერდი ფელტონებს.

ერთი მუჭა ჩვენი მკითხველი საზოგადოება ჰკითხულობდა ჩემ ნაწერებს და, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე ამ გვარს შემთხვევაში, ზოგი მაქებდა და ზოგი კი მაძაგებდა.

ჩემი ამხანაგები კი, რომელთ აზრსა და მსჯელობას ყველაზე უფრო ვაფასებდი და ვაფასებ, ეს ამხანაგები უფრო თანახმანი იყვნენ ამ ჩემი ფელტონების შესახებ: არც ერთს იმათგანს არც ერთი ჩემი ფელტონი არ მოსწონდა!

— ფელტონების წერა შენი საქმე არ არისო, პირ-და-პირ და ხშირად მეუბნებოდნენ ისინი. სადაც აკაკი ფელტონებს სწერს, იქ შენ ალაგი არ უნდა გქონდესო. ღმერთს შენთვის სულ სხვა გვარის, სხვა ხასიათის წერის ნიჭი მიუციაო!

იმდენი მელაპარაკეს, იმდენი მიჩიჩინეს, რომ ბოლოს თითქო დამარწმუნეს და მართლაც ხელი ამაღებინეს ფელტონების წერაზე.

×

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ნამდვილად დამარწმუნეს იმაში, რომ მე ფელტონების წერა არ შემიძლიან. სრულებითაც არა; წინაალმდეგ ამისა: მე დღესაც იმ ჰაზრისა ვარ, რომ ჩემი ნამდვილი დანიშნულება ლიტერატურაში, თუ კი მაქვს რაიმე დანიშნულება, ფელტონების წერაა.

მას აქეთ ჭიასავით მღრღნის ეს ჰაზრი და მოსვენებას არ მაძლევს: „მიქარვენ ამხანაგები, იმათ არ ესმისთ, რასაც გეუბნებიან. სწერე ფელტონები!“ განუწყვეტლივ მუდამ ამას ჩამჩურჩულებს ყურებში ბოროტი სული....

×

ორი გზა-დაბნეული მწერალი ვიცი ამ ჟამად ჩვენს ლიტერატურაში:

ერთი ჩინებული რომანისტია; რამდენიმე იმის მოთხრობა საზოგადოებამ ნამდვილის კმაყოფილებით წაიკითხა. ისტორიულს სურათებს კიდევ უკეთა სწერს, ვინემ მოთხრობებსა.

მაგრამ, ამ უკანასკნელ დროს, ამ მწერალს რბილში და ძვალში გაუჯდა ის ჰაზრი, რომ მე პოეტადა ვარ შობილიო! მოჰყოლია და პოემებსა სწერს. მაგრამ რა პოემებს! ლათინური და ბერძნული ენით გამოტვინებული ჩვენი მეოთხე კლასის გიმნაზიელი უკეთესს პოემას დასწერს!

მეორე პოეტია, კარგი პოეტი, რომლის ლექსები და პროზული თხზულებანი, უეჭველია, დაუვიწყარი იქნება ჩვენი შთამომავლობისაგან, თუ კი გვეყოლა შთამომავლობა.

მაგრამ ახლა ეს პოეტი ჩამობრძანდა პარნასიდამ, განზე მიაგდო თავის ქნარი! და პოლიტიკო-ეკონომიურის სტატიების წერა დაიწყო!

ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერა არგუმენტაციით ვერ დაარწმუნებ, რომ ისინი უხვევენ თავის გზას, რომ იმათი დანიშნულება სულ სხვაა, რომ იმათი ნიჭი ამ გვარ ლიტერატურისთვის არ არის გაჩენილი! რას ბრძანებთ!

პირველი გეტყვისთ: „თქვენ რა იცით! ერთი ჩემი პოემა ყველა ჩემ ადრინდელ ნაწერებს ერთი-ათად სჯობია!“

მეორე გეუბნებათ: „აფსუს, რომ თავიდამვე პოლიტიკო-ეკონომიურ სტატიებს არ ვსწერდი! ახლა ვხედავ, რომ ჩემი ნამდვილი დანიშნულება პოლიტიკო-ეკონომობა ყოფილა!“

×

ამბობენ, კაცი თავის საქმეში მის დღეში ვერ იქნება სწორი და მიუდგომელი მსაჯულიო.

მაშ, თუ ეს ასეა, იქნება მეც ვსცდებოდე, იქნება მეც ჩემს საქმეს არ ვკიდებდე ხელს?

მაგრამ არა. შეიძლება ყველაფერში შევსცდე, ყველაში დაგეთანხმებით და იმაში კი არა, რომ მე ფელტონის წერა არ შემეძლოს!

მაშ, ეგრე, გადაწყვეტილია, რომ შემიძლიან, და ვიწყობ....

მწერს, რომ ზოგიერთა გლეხებს თურმე უბეში უძევთ ის „დროების“ ნომრები, რომლებშიაც იყვნენ დაბეჭდილები სტატიები ივრის გზის გაყვანაზედ. რათ უძევთ უბეში? იმისთვის, რომ ამ სტატიებმა აუხილეს იმ გლეხებს თვალები და დაანახვეს ის პირები, რომელნიც მათ უსამართლოდ ამუშავებდნენ და აკეთებინებდნენ ივრის გზას და მმართებლობისაგან ამ გზის გასაკეთებლად გადადებული ფულები კი ღმერთმა იცის ვის ჯიბეში ჩადიოდა. ეს მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ხალხი ისე რეგვენი არ არის, როგორც ჰფიქრობენ ზოგიერთა ჩვენი ვაჟ-ბატონები.

ხალხი დიდის სიხარულით და კმაყოფილებით წაიკითხავს მის სასარგებლოდ დაწერილს წიგნსა, მაგრამ რა ჰქნას იმან, რომ რიგიანი წიგნების მაგივრად მას აჩეჩებენ ხელში „ყარამანიანებს,“ „დავრიშიანებს,“ „ბექანიანებს“ და სხვა ამ გვარებს.

— ვეიჩვენეთ რიგიანი წიგნებიო, მკითხავენ გამომცემლები.

დეე, წელიწადში ორი-სამი წიგნი გამოვიდეს და ხეირიანი, სინამ ბევრი და უხეირო.

ი. ბაქრაძე

## დღიური

გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა:

„მის ბრწყინვალებას ნამესტნიკის თანაშემწეს ამ თვის 4-ს მოუვიდა ქუთაისის გუბერნიის მთავრობისაგან სამწუხარო ამბავი, რომ თავისუფალ სვანეთის სოფელს ქალდეის მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ლეჩხუმის უეზდის უფროსს, როდესაც ის ასი კაცი კამანდით მივიდა ამ სოფელში დამალულ დამნაშავეების დასაჭერად; მცხოვრებლები შეიმწყვდნენ კოშკებში, რომელიც ამ მხეცურ და მიუდგომელ მხარეში ყველა მოსახლესა აქვს, და იქიდამ დაუწყეს კამანდას თოფების სროლა.

„ამ შეტაკების დროს მოჰკლეს: კამანდის უფროსი მაიორი ღეუსი და ორი სალდათი; დასჭრეს: სვანეთის პრისტავი თ. მიქელაძე და 9 სალდათი. შემდეგ კამანდამ დაიჭირა ერთი კოშკი და დაღამებამდი იქ იყო. ამ დროს, როგორც მოხსენებიდამ სჩანს, ღალატით მოუკლავთ: უეზდის უფროსი ზრინევსკი, უეზდის ექიმი ზელსკი და იმის მოსამსახურე-ბიჭი. როგორც ეტყობა, თანჯიმანი ბაქრაძეც მოკლული უნდა იყოს, რადგან აღარსადა სჩანს.

„დალამებისას პორუჩიკ პეინრიხაძემ წაიყვანა მოკლულები და დაჭრილები და დარჩომილი ჯარით წავიდა სოფ. ბეჩოს, სადადიშკელიანო სვანეთში, სადაც იმას შეეგება ადგილობრივი მემამულე სვანეთის პრისტავის თანაშემწე თ. თენგიზ დადიშკელიანი რამდენიმე მილიციონერით.

„მეტი ჯერ არაფერი ამბავი მოსულა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს შემთხვევა სრულებით კერძო უნდა იყოს და ამაში სხვა სოფლებს არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიეღოსთ.“

ამ საგნისავე თაობაზე ჩვენ რამდენიმე წიგნი მივიღეთ თვით სვანეთიდამ და ქუთაისიდამაც მოუცადოთ კიდევ ოფიციალურს ცნობებს....

* * *

არაფერი ახალი ამბავი შესახებ ანდრეევსკის ქალის მოკვლისა. ამბობენ, რომ გამოძიება ამ ერთ თვეზე ადრე ვერ გათავდებაო.

ამას წინათ ხმა გავარდა, რომ დატუსაღებული დ. ჩქოტუა გამოუშვეს მეტეხიდამაო, მაგრამ ეს ხმა არ გამართლდა.

* * *

გასული ივლისის 28-ს თფილისის კრებაში (კლუბში) სალიტერატურო და მუზიკალური საღამო იყო, ბალკანის ნახევარ-კუნძულის მებრძოლთ სასარგებლოდ. წაიკითხეს: გრ. არწრუნიმ—„შენიშნვა შესახებ მცირე აზიის სომხებისა, თ. ილია ჭავჭავაძემ—ერთი თავი თავის „კაცია, ადამიანიდამ“ და თ. ქ. ბებუთოვმა ერთი იუმორიული სცენა სჩედრინის თხზულებიდამ. შეაგროვეს სულ 424 მანეთი, რომელიც ადგილზე გაიგზავნა.

* * *

გორიდამ გვწერენ.

„რამდენი ხანია, ჩვენი როტონდა მზათ არის, „თანაგრძნობელიც ბლომათა ჰყავს, თანამშრომლებიცა და გულ-შემატკივრებიც. მებუქეებიც არიან, მელეკურეებიც, მეპოლკა-მაზურკეებიცა და მეკარტეებიც,—ერთი სიტყვით, ძალიან მტკიცე საფუძველზედ დგას, მაგრამ წელს კი მაინც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას: არ არის ტანციობა და ტაციობა.“

იქიდამვე და იგივე კორრესპონდენტი გვწერს, რომ „ამას წინათ რომ სარკის წმ. გიორგის ეკკლესიის გაქურდვას გწერდით, ახლა, როგორც ისმის, ქურდებს, თათრებს ყველაფერი მიუტანიათ ეკკლესიაშივე. ერთი იმათგანი გაგიჟებულაო, ხელში მოპარული ჯვარი დაუჭერია და ტიტლიკანა ტყე-ტყე დადისო!“

* * *

შემდეგ უბედურ შემთხვევას გვწერენ ზაქათალიდამ:

„28 ივლისის რიცხვს ქალაქს ზაქათალაში ერთს სომეხს მეორის ფული მართებია. ორივენი აქაური ვაჭრები არიან. პირველი მოსულა, უთხოვნია: ჩემთვის მოსაცემი ფული მომეციო. მოვალეს არა ჰქონია ხელში: დამაცა, არა მაქვს, მოგცემო! მაგრამ ფულის პატრონი ორდუბათელი სომეხი სულ-სწრაფი ყოფილა;—არ იქნება, ახლავე თუ არ მომეცი, არ შეიძლებაო!

„ამაზე მოსვლიათ ლაპარკი. ორდუბათელი წასულა, უჩივლნია. საქმე გადაუწყვეტია სასამართლოს, რომ განჯელმა უნდა მისცესო. პრისტავი მოსულა ასაწერათ დუქნისა.

„ამ დროს გაბრაზებულს განჯელ სომეხს ამოუღია რევოლვერი, უკრავს ტყვია გულში და ეს მოვალე სომეხი იქვე მომკვდარა. კაცის მკვლელი ჩაუწყვდევიათ ტუსახანაში და ამაზე ახლა გამოძიება არის.“

* * *

„სასოფლო გაზეთი“ გვაცნობებს, რომ კახეთში კიდევ ერთი გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა დამტკიცდა ამ მოკლე ხანებში მმართებლობისაგანაო; ეს ამხანაგობა იქნება სოფ. გურჯაანს. ამას გარდა ქართლიდამ, სოფ. ავლევიდამ, წესდება წარდგენილია და იმედიაო, ისიც მალე დამტკიცებული მოვიდესო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**რაჭა, 31 ივლისს.** რაჭა მთელს ქუთაისის გუბერნიაში შესანიშნავი კუთხეა თავის მყუდრო ცხოვრებით: ქურდობა, კაცის-კვლა და სხვა ავაზაკობა აქ ძალიან იშვიათია; მაგრამ აქაურს ხალხს აქვს ერთი საძაგელი ჩვეულება, რომლისაგანაც დიდი უმზგავსო და საზიზღარი შემთხვევა წარმოსდგება ხოლმე,—ეს არის მომეტებული ღვინის სმა. სამი-ოთხი კაცი ისე პურს ვერ სჭამს, რომ ერთმანერთს ღვინო არ დაათრონ და არ დათვრენ. აი მაგალითი ერთი ძრიელ სამწუხარო შემთხვევისა, რომელიც მოხდა მთვრალობისგან სოფელს უწერაში 18 ამა ივლისის რიცხვს.

რამოდენიმე ყმაწვილი კაცები შეიკრიბნენ ერთად სადილზე სოფელს უწერაში და ნაშუადღევის 6 სათამდის დროს ატარებდნენ ღვინის სმით. ამ კამპანიაში სხვათა შორის ერია ერთი პოლიციის ჩინოვნიკი დ. ქვიტაშვილი, ძრიელ მხიარული, მრთელი და მშვენიერი ვაჟკაცი. სადილის შემდეგ ქვიტაშვილი მოემზადა ონში წამოსავალად და ბარგიც

---

ვიწყობ იმ საგნიდამ, რომლიდამაც იწყებს საუბარს ყოველი კეთილზდილობიანი და საზოგადოებაში ლაპარაკს გაჩვეული კაცი: ტაროსიდამ!

×

საშინლად ცხელა.

ისე ცხელა, რომ წამ-და-უწუმ თუ ყინულიან წყალში დასველებული ხელ-სახოცით შუბლი და კეფა არ ისველე და ამნაირად თუ არ გააგრილე, ცოტაც არის, ტვინი და სული, უეჭველია, ორივე ორთქლად იქცევა და გაფრინდებიან.

ისე ცხელა, რომ ჩვენ, ქალაქის, ანუ უკეთა ვსთქვათ, ქვაბის მცხოვრებნი შევნატრით სოფლელ თავად-აზნაურებს და ვამბობთ:—ნეტარ ხართ თქვენ, რამეთუ ტანთსაცმლითა ადამისათა ზიხართ ჩრდილოსა კვიპაროსისა ანუ ცაცხვისასა და არა ზრუნავთ სოფლისა ამის ამაოებაზედა!

ისე ცხელა, რომ ტვინი აღარ მუშაობს და თითებიდამ კალამი ვარდება....

მაგრამ ჩვენ მაინც ქალაქში უნდა ვიცხოვროთ და ვსწეროთ!

ან ვისთვის რა ვსწეროთ? ვინ რას წაიკითხავს ახლა, ამისთანა სიცხეში?

გამოჩენილმა დიპლომატმა ტალეირანმა სთქვა:

— „ენა იმისთვის მიუცია ღმერთს კაცისათვის, რომ არ ილაპარაკოსო!“

ამის მსგავსად მე ვამბობ:

— „ზაფხულის წერა იმიტომ გაუჩენია ღმერთს, რომ კაცმა არ წაიკითხოს.“

მაგრამ მაინც უნდა ვსწეროთ!...

×

იქნება ამ სიცხის ბრალი იყოს, რომ ჩხუბი და კაცის-კვლა ესე გახშირდა ჩვენში ამ უკანასკნელ დროს?

მართლა, დღე კაცი გარეთ ვერ გამოსულა, გალიაში დამწყვდეულ ლომივით დარბის ოთახში იქით-აქეთ ან სძინავს. ღამე, როცა თითქო ცოტათი უფრო აგრილდება, გაგიჟებული გამოვარდება გარეთ, იქით ეცემა, აქეთ ეცემა, ვინმე ოხერი წააწყდება გზაზე, იფიქრებს: ამას ჩემი გზის გადაღობვა უნდაო, მივარდება და მოჰკლავს!

— მოჰკლავს, მაგრამ მკვლელობას დაფარვა არ უნდა?

ოჰო, ეს სულ უბრალო საქმეა: მადლობა ღმერთს, მტკვარი არ დამშრალა ჯერ!

×

ანდრეევსკის ქალის მოკვლის შემდეგ, ვიღაც დამღრჩვალი რუსის გლეხი თუ ბერძენი ნახეს მტკვრისაგან გამოგდებული. გვერდით არაყის ბოთლი ეგდო. საბრალოს ძალიან არ ჰყვარებია არაყი! უთქვამს: „ჰე, ამ უკანასკნელს კიდევ გადავკრავ, და მერე კიდეც გადავარდები წყალშიო!“ გადაუკრავს და გადავარდნილა. მაგრამ გასაკვირველი ეს არის, რომ ანდრეევსკის ქალის გვამი თითქმის ორმოც ვერსზე გამოაგდო წყალმა და ამ რუსის კი ხელად იქვე დაალრჩო და იქვე გამოაგდო ნაპირზე...

ამ ოთხი დღის წინათ, მოჰკლეს ქალაქის ხარჯის ამკრეფი მოსე მირიმანოვი. ორთაჭალის ბაღში ყოფილიყო. იქიდამ დაბრუნებულს, კარებთან, ვიღაცა დახვედროდა, ერთი მოექნია ხანჯალი და იქვე სული ამოსძრომოდა.

რომაული ანდაზაა: „მიცვალებულზე ან კარგი რამ სთქვი, ან სულ ნურას იტყვიო.“ უეჭველია, „დროების“ რეპორტიორს ეს ანდაზა არ სცოდნია, თორემ გუშინ რომ ის რედაქციაში მოვიდა, მიცვალებულს მირიმანოვზე არ იტყოდა:

— მოკლეს, მაგრამ, მახლას, კაცი კი ვერ ვნახე, რომ იმის მოკვლა ენაღვლოს და!

საბრალო, თავის სიცოცხლეში ერთობ აწუხებდა თურმე ხალხს, ხარჯის გადახდევინების დროს, და ბევრი მტერი ჰყავდაო. ახლა კი საუკუნოთ მოისვენა.. ნეტავი იმას: გრილს მიწაში ჩაასვენეს, ჩვენსავით სიცხე ვეღარ შეაწუხებს.

×

თფილისში კიდევ ჰო, ვთქვათ სიცხისაგან გაშმაგებული ხალხი სჩადის ამისთანა საქმეებს, მაგრამ ამ სვანეთ-

გამოისტუმრა წინ, მაგრამ წამოსვლის დროს ისურვა, რომ მისულიყო „მჟავე წყალზე" რომელსაც ურიცხვი ქალი და კაცი ესია და სვამდა.

მჟავე წყლის სტუმრებში სხვათშორის იყო ერთი რაჭველი ზიორგობიანი, რომელსაც ეჭირა ხელში სტაქანი და იმით აწვდიდა წყალს თავის ცოლს-შვილს. ამ დროს მიაწია წყალთან ქეიტაშვილმაც თავის მთვრალი ამხანაგებით და უთხრა ზიორგობიანს, რომ მიეცეს მისთვის ალაგი წყლის ამოსაღებათ. (ამბობენ, ვითომც ხელი ეკრას ზიორგობიანისთვის). ამ მცირე მიზეზზე ასტყდა ჩხუბი: წამოაქციეს თურმე ეს ზიორგობიანი ქეიტაშვილმა და მისმა ამხანაგებმა და „იმდენხანს" სცემეს წიხლები, სანამ ძალი და ღონე ჰქონდათ. ბოლოს როგორც იყო დასძვრათ ხელიდგან ზიორგობიანი წაისვა ხელი სატევარს და ერთი წამის განმავალობაში სული ამოახდინა ერთს მაჩხუბართაგანს—ქეიტაშვილს.

ამ საზარელს სურათს ხედავდნენ მრავალი ქალი და კაცი და მათს შორის მოხუცებული დედა, ცოლი და ორი პატარა ქალები განსვენებულის, აგრეთვე ცოლი და სამი პატარა ვაჟები მკვლელისა.

მართლა რომ საოცრად იყო დაჭრილი საბრალო: მარცხენა გვერდში ნაკრავი სატევრის წვერს გაეხვრიტა გული, ორივე ნახევარი ფილტვებისა და გაეწია მეორე გვერდში კანამდის. ისე უეცრად ამოხდა საწყალს სული, რომ ამ ორიოდე სიტყვის თქმა ძლივს მოასწრო: „აკი მომკლა ამ ოჯახ-დაქცეულმა!"

მკვლელი ონშიდ არის დაჭერილი და საქმე სწარმოებს გამომძიებელთან.

ყოველი კაცი სწერს ქეიტაშვილის სიკვდილს და მართლაც, რომ საშწუხაროა ყველა იმის ნაცნობებისთვის. ისეთი კარგი ხასიათის კაცი იყო საცოდავი, რომ სადაც ის დაესწრებოდა, არა თუ თვითონ მოახდენ და რამე უწესოებას, სხვასაც არაფერს ცუდს გააბედვინებდა; მაგრამ ზემო აღწერილი შემთხვევის მიზეზი იყო ღვინო, რომელმაც ქეიტაშვილზე უმეტეს კიდევ მისს ამხანაგებს დაუკარგა გრძნობა; რომ ამ უკანასკნელებს არ ექომაგნათ ქეიტაშვილისათვის და არ წასწეოდნენ ზიორგობიანს, ამბობენ, უბედურება არ მოხდებოდაო. ამასთან ზოგიერთები იმასაც ამბობენ, რომ მკვლელიც ძალიან წყნარი და მშვიდობიანი ხასიათიას კაცი არისო და დიდი გასაჭირი და შეურაცხება რომ არ მისდგომოდა ურიცხვი ხალხის და თავის ცოლშვილის თვალთ წინ, ის იარაღს არ იხმარდაო და რომ ის ქეიტაშვილის სიკვდილს არ ისურვებდა, ესეც ცხადიაო; მაგრამ, რადგანაც „მოქნეული და მოზომილი" ერთად მოუხერხებელია, ამისთვის კაცი შამოაკვდაო.

N

---

**ოზურგეთი, 1 აგვისტოს.** ივნისის 5 ჩამოვიდა ოზურგეთის უეზდში მეჟევე კამისიის ერთი მწევრთაგანი უფროსი ზემლემერი უ. ივანოვი, რომელმანაც დაიწყო მიჯნა იმ ადგილებისა, სადაც ჩაერთვის შავს ზღვას მდინარე ჩოლოქი, რომელიც საზღვრავს ქობულეთს და გურიას. დამიჯნა ჩოლოქის ტყე რომელზედაც აქვს დავა გამოცხადებული ხაზინას თთ. ნაკაშიძეებთან და აზნაურთ ბებურიშვილებთან.

ამ ჩოლოქის ტყის გამიჯვნის შემდგომ შეუდგა კვალადვე თთ. ნაკაშიძეების მამულს, გურიანთას და 24 წარსულის ივლისის თვისას გაათავეს ირგვლივ ტყის შეკვრა, და დაინიშნა მიგნით გამიჯვნის ვადა მდგომარე აგვისტოს 9 რიცხვში; უნდა დაიწყოს შავის ზღვის ნაპირით დაბა ნიკოლაევსკში.

უ. ივანოვს ყოველ შემთხვევაში დაჰყვებიან ხაზინის მხრიდგან დანიშნული აგენტი ბ..... რომელიც არუნავს წალმა-უკულმა ყოველი კუნალის და სამკუთხების გაკეთების დროს და იძახის: „ნაპრავო, ნალევო, ვეზდე კაზიონი! ხანდისხან ეტყვიან: ხაზინა ხომ ვალდებული არის თუ მისი არ დარჩა, პატრონს მიუზღოს ხარჯი და ზარალიო. ის აძლევს პასუხად: მე მოწერილობის ძალით ვიძახი ამასო, თუ პატრონი არ გამოუჩნდა კანონიერი, ხომ ხაზინას დარჩება; და თუ საჭიროდ დავინახე საქმის გარჩევის დროს უარიც შემიძლიან ვსთქვაო!

ზემოთ აწერილს მოქმედებას აგენტოსას არც დიდი ვნების მოტანა შეუძლიან და არც დიდი სარგებლობის, მაგრამ რასაც ქვემოთ დავსწერ, ეს კი არის მავნებელი და აღმძვრელი ხალხისა:

აძლევს წინადადებას იმ გლეხებს, რომელნიც არიან მესაკუთრენი ანუ საეკლესიო და ანუ ხიზნები მებატონის მიწებზედ, „თქვენ შეგიძლიანთ სთქვათ, რომ ამ ადგილებზედ, სადაც იმიჯნების, უძოვნიათ ჩვენს საქონელს ან ოდესმე რაიმეთ გვისარგებლნია ჩვენო. ამისთანა სიტყვებით ადვილი შესაძლები არის ეს ადგილები გარდმოვიდეს თქვენს სარგებლობაშიდო." ამისთანა სიტყვების გაგონებამ ხალხი აალელვა, ბრუნდი და მართალი იძახის: იქ ჩემი არის, აქ ჩემი არის, აქ ჩემი ძროხა, ცხენი ანუ ღორები სძოვდა, აქ შეშა ანუ წნელი გვისარგებლია და სხვანიო! უცხო კაცი რომ მოვიდეს და ნახოს გაკვირდება; სად რამდენი მოჭრილი ტყე არის გატანილი, სად და რამდენს ალაგას რამდენი ქვა და ნახშირი არის დაყრილი,—ამას ვინ მოსთვლის. ყველა ეს უსარგებლოდ დარჩა ამ ვაების მიზეზით და ვინ იცის, ეს ქვა და ნახშირი როდის დასჭირდება და ისარგებლებენ.

ჩოლოქის ტყის (დაჩის) გამიჯვნის დროს, უ. ზ. ბებურიშვილიც დაესწრო დაერთად სახლის კაცებით თავიანთი თუ სხვისი საზღვრის გაზომვის დროს, როგორც ამბობენ ს. ლეხაურის მცხოვრებნი აზნაურნი და გლეხებიც, როდენიმე ასი ქცევა მიწა სხვისი ჩაუტანიათ სამზღვარში. როგორც ამბობენ, უ. ბებურიშვილი კაცობრიულად არ მოქცეულა, ერთი რომ პატრონები იმ ადგილების არ დასწრებიან; მეორე რომ იმ მითვისებულ ადგილებთაგანი ზოგი უ. ბებურიშვილებისაგან სუდის წესით წაგებული ყოფილა; მესამეთ ზემლემერს სოფლის გამორჩეული კაცები უნდა ხლებოდა, მიწის გარემოების მცოდნენი, რომელი ვისი იყო უნდა ეთქვათ, მაგრამ ბებურიშვილებს იმ კაცებისთვის წინადადება მიუციათ თუ რომ ის გამორჩეულნი კაცები ზემლემერის კითხვაზედ სიმართლეს ეტყოდენ, ისენი მიეცემოდნენ პასუხის-გებას და შეაწერდენ ჯარიმას. ის გამორჩეულნი პირები, როგორც ამ საქმის უცოდნელნი, არწმუნებდენ ბებურიშვილის წინადადებას. ამორჩეულ კაცთაგანი ერთი ამ ჯერ დაკარგული რაოდენიმე მიწის პატრონი ყოფილა, მაგრამ როგორც გაუგია უ. მ. ბებურიშვილს, იმავე მინუტშიდ გამოარიცხვინა თურმე მამასახლისს.

ეხლა კი ყველამ გაიგო თავიანთი სიმართლე და ზარალი, მაგრამ გვიანი არის მათთვის. როგორც მიწის მეპატრონეებმა მითხრეს, ამაზედ აპირებენ საქმის დაწყებას სისხლის სამართლის წესით. ეს ამბავი საიდუმლოთ აღარ არის ჩვენშიდ და ბევრიც აძაგებენ მათს მოქმედებას.

მათრახით და მუშტით ჩხუბი ამ მიჯნის დროს ორის მეტი არ ყოფილა, ერთი ჩოლოქის ტყის შეკვრის დროს და მეორეც გურიათის ტყის

---

ში მაინც გრილა! მაშ იქ რაღამ აიძულა ხალხი, რომ, ვითომცა საშუალ საუკუნოების რაინდები, თავიანთ კოშკებში შესულან, იქიდამ თოფები უსვრიათ და ლეჩხუმის უეზდის უფროსი—ზრინევსკი, მიორი ლევისი, ექიმი—ბელსკი და სხვა რამდენიმე რუსი მოუკლავთ?

არა, ალბათ, აქ ერთი სხვა რამ მიზეზი უნდა იყოს და არა სიცხე.

×

მაგრამ ყველაზე უფრო ის მაკვირვებს, რომ თურქისტანში ნამყოფი და იქაურ უდაბნოებში გამოჯანგული კაცი შეაწუხა სიცხემ. საწყალი ჩერნიაევი! რა დიდებით, რა „ურას" ყვირილითა და ქებით გაისტუმრეს რუსეთიდამ რუსის გაზეთებმა, როცა სერბიის დასახმარებლად წავიდა. ახლა! ჯერ კიდევ გაჩუმებული არიან, ჯერ კიდევ ცოტაოდენი რაღაც იმედი აქვთ იმის გამარჯვებისა. მაგრამ, თუ კუდ-ამოძუებული დაბრუნდა რუსეთში, მაშინ უნდა უყუროთ იმათ ლანძღვას: „ადრეც ვამბობდით, რომ ის უხეირო კაცია, რომ ის სრულებით სარდლად არ გამოდგებოდა, და ახლა გამართლდა ჩვენი წინასწამეტყველებაო."

ბაზენის თაობაზედაც ამისთანა გამჭრიახობა გამოიჩინეს რუსის გაზეთებმა: სანამ მეცში იყო დამწყვდეული, მანამ ცამდი აჰყავდათ, აქებდნენ, საფრანგეთს ის იხსნისო. ამტკიცებდნენ, რომ ბაზენი რუსია, „ბაზინი" არისო. მაგრამ ბოლოს ესევე ბაზენი უნიჭო, ავაზაკი, საძაგელი შეიქნა! „ნეტავი რომელმა ქვეყანამ შობა ამისთანა ბოროტი კაციო?" ჰკითხულობდა ისვე გაზეთი, რომელიც ადრე ამტკიცებდა, რომ ბაზენი რუსის შთამომავლობის არისო.

ასეთია ადამიანის ბედი ამ ცოდვილ დედა-მიწაზე...

×

მაგრამ ძაღლების ბედი ხშირად უარესია. გამიგონეთ ეს ამბავი და დამეთანხმებით:

როცა 1864 წელს ჩერქეზები აიყარნენ თავიანთ ქვეყნიდამ და სოხუმს მოგროვდნენ ხომალდებში ჩასასხდომად და ოსმალეთში გადასასახლებლად, ყველა ოჯახს თითო-ოროლა ძაღლიც გამოჰყვა თურმე, ასე რომ ზღვის ნაპირას ერთ დროს სამი ათასი მეტი ძაღლი იყო.

ამათი პატრონები, ხომალდების მომლოდნენი, ზღვის ნაპირას ეყარნენ მშიერნი, მწყურვალნი, ჩაუცმელ-დაუხურავნი, ზოგი სულთა-მბრძოლი ავათმყოფი; და ძაღლებიც არ შორდებოდნენ, უყარაულებდნენ.

ბოლოს ოსმალოს ხომალდებიც მოვიდნენ. ჩერქეზები, ვინ როგორც მოხდა, ჩაჰყარეს შიგ, როგორც თევზი ბოჩკაში ჩაგიყრიათ, და გაისტუმრეს.

ძაღლები, რასაკვირველია, დასტოვეს; სადაც დედ-მამა შვილებს ჰყიდდა რომ ვერ წაეყვანა, აბა ძაღლებს რას წაიყვანდნენ!..

საშინელება რამ იყო თურმე ამ დროს ძაღლების ნახვა: სამი ათას ძაღლმა ერთად შეჰქნეს ზმუილი და ისეთი ხმა გამოდიოდაო, გვითხრა, ჩვენ დამსწრემ, რომ ამისთანა გულმოსაკლავი, შესაძრწუნებელი ხმა ჩემ დღეში არასოდეს და არა სულდგმულისაგან არ გამიგონიაო. რამდენიმე დღის განმავალობაში არ შეწყნარებულა ამ უპატრონო ძაღლების ზმუილი. რამდენიმე ასი იქვე დაიღრჩა: ზღვაში შესცურეს, როცა თავიანთი პატრონების წასვლა დაინახესო. მომეტებული ნაწილი კი იქვე, ნაპირზე, თავ-აღერილი იდგა და დღე და ღამ გაუწყნარებლივ ზმუოდაო.

ბოლოს სოხუმელები იქამდინ შეაწუხა თურმე ამ ძაღლების ზმუილმა, რომ იმათ გასარეკად ერთი როტა სალდათები გამოგზავნეს. ხიშტებით დაერივნენ, მაგრამ ძაღლები მაინც არ შორდებოდნენ იმ ადგილს, სადაც იმათ პატრონებს, წასვლის წინათ, ედგათ მიწაზე ფეხი და სადაც, თავის ქვეყნის გამოთხოვების ნიშნად, ისინი უკანასკნელად დაემხნენ ძირს და მიწას აკოცეს....

ძალად-ფელტონისტი

შეკვრის დროს. ზვარიანი ცემა-ტყეპა იყო, მაგრამ გაამორეს მალე და ამოდებული სატევრები გაუსვრელად ჩაიგეს ქარქაშშიდ.

რაც შეეხება უ. ივანოვის კარგ მოქმედებას, ყველა არ აიწერება; ის ხომ დარწმუნებული იყო, რომ მისი დანიშნულება ჩვენშიდ ბევრს არ ესმოდა, და ჩამოსვლის თანავე დაიწყო წინადადება შესახებ დარიგებისა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ის პირები, ვისაც საქმე ჰქონდა მასთან, რომ მათ არ დაეკარგათ თავიანთი სიმართლე, ალესრულებინათ თავიანთი მოვალეობა რიგიანათ რომელიმე საქმის წარმოების დროს, იმათ სიჩქარით, დაუხედაობით, მოუფიქრებლობით ანუ სიფიცხით არ ენახათ ზარალი და არ დაეკარგათ თავიანთი საკუთრება, არცა მიეთვისნათ სხვისი მამული, თორემ უწესო მოქცევისთვის ვის რა შეხვდებოდა, ყველას თითოეულად უმარტავდა სითავდაბლით და კეთილის რჩევით; ყველას ძალიან მოსწონს და უყვარს როგორც მეც ვიცი და სხვებმაც დამარწმუნეს....

ზურული.

## უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. ქვემო-მოყვანილი ამბები გვიჩვენებს—თუ რა ცუდათ უნდა მიდიოდეს სერბიელების საქმე. პარიჟიდამ მოვიდა აქ დეპეშა, რომ სერბია თანახმა არისო ოსმალეთს შეურიგდეს, თუ დიდებული პორტაც თავის მხრით დათანხმდებაო, რომ იმავე მდგომარეობაში დარჩეს სერბია, რომელშიაც ახლა იმყოფებაო. მაგრამ, თუ კიდევ უფრო ჩვენი დამცირება და შევიწროება მოინდომა ოსმალეთმა, მაშინ კი უკანასკნელ ლონის-ძიებამდი არ გავაგდებთ ხელიდამ იარაღსაო.

— ინგლისის მმართებლობას მიუწერია თავის სტამბოლელ და ბელგრადელ ელჩებისთვის, რომ გამოუცხადონ ოსმალეთისა და სერბიის მმართებლობას, რომ ინგლისი იკისრებს შუამდგომლობას, რომ მებრძოლთ შორის მორიგება მოახდინოს.

ამბობენ, ინგლისს გარდა, ევროპის სხვა სახელმწიფოებიც მიიღებენ ამ საქმეში მონაწილეობას, თუ კი ორივე მებრძოლნი მშვიდობიანის ჩამოგდების სურვილს განაცხადებენო.

— ბოსნიაში და გერცოგოვინაში, როგორც იწერებიან, მომავალ წლისთვის სამინელი შიმშილს მოელიან, რადგან წელს თითქმის არავის არ მოუხნავს მიწა და არაფერი არ დაუთესიათო.

— რუმინიაში 20,000 სერბიელი გაქცეულა, რადგან სადაც კი ოსმალოს ჯარს ჩაუდგამს სერბიაში ფეხი, ყველგან გაუნადგურებია ყველაფერი და მთელი სოფლები დაუწვავს. შეშინებული სოფლები რუმინიაში და სხვა მეზობელ ქვეყნებში მირბიან თურმე. რუმინიის პალატას გადაუწყვეტია, რომ ამ გადმოვარდნილ ხალხის სარჩენად, მართებლობას უფლება აქვს, რომ ნახევარი მილიონ ფრანკი დახარჯოს სახელმწიფო ხაზინიდამაო.

— რუსეთის მდიდარ ბანკირ-ურიას შტაგლიცს ნახევარი მილიონი მანეთი შეუწირავს მებრძოლ სლავიანების სასარგებლოდ.

## განცხადებანი


LA VELOUTINE
(ველუტინი)
ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.
ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.
კანს ეკვრება და არა სჩანს.
შ. ფ ა ი — გ ა მ ო მ გ ო ნ ი

pommade satin
(ატლასის პომადა)
ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.
9, Rue de la Paix, Paris
156—52



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებული მხოლოთ სამხრეთ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეულებითს ქინო-გლიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს



ქიმიის პროფესორის ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. პლეხჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველი და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიზრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

პ ო მ ა დ ა
„PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება ტფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში—სეგალთან და სტავროპოლში კურილ-



ჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.

ეს პომადა "Pasta" იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულიად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. ყველაზე უფრო ეს პამადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პირისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი პლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ყოველ პამადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პამადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავთმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.



ხ ე ლ ი ს   პ ა მ ა დ ა

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი—საშუალება მაზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—28


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ:
სტამბოლს—კვირაობით, დილას.
ბ) ოდესიდამ:
ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამხრეთ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.
ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.
გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.
დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 3 აგვის. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $331^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი(სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 25 |
| მოგებიანი(პირველისესხი) | 198 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 196 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის $(5^1/_2)$ | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 91 | 25 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. | 205 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 724 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 7 აგვისტოს | | |
| პური შორაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| ბაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | — |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | — |
| ყავა გრძელი ფუთი . | 19 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. . | 6 | 18 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Августа 1876 г. Типографія Меликова и Ко. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.